ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა # 16

ქ. თბილისი 01. 02.2012 2012 წელი

ერთის მხრივ სსიპ N62 საჯარო (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის თამარ მალაზონიას სახით და მეორეს მხრივ, შპს „საქართველოს ფოსტა" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის ლევან სანაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის #59 განკარგულების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

საკანცელარიო ნივთები (შემდგომში – საქონელი) ხელშეკრულების პირობებისა და დანართის შესაბამისად, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს (2400) ლარს.

2.2. საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 30100000) ღირებულება შეადგენს 800 ლარს.

2.3. საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 22800000) ღირებულება შეადგენს 800 ლარს.

2.4. საკანცელარიო ნივთების (CPV კოდი: 22100000) ღირებულება შეადგენს 800 ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს თ. მალაზონია

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: . მარტყოფის 20

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, 2012 წლის 01.03 2012 წლის 30.12 ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღე'ზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები დაჯარიმდებიან ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით, აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2012 წლის 01-03 და მოქმედებს 2012 წლის 30-12 ჩათვლით.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ N62 საჯარო სკოლა	შპს ,,საქართველოს ფოსტა''
მის: მარტყვას 20	მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი 2
საიდენტიფიკაციო კოდი 211351605	საიდენტიფიკაციო კოდი: 203836233
ბანკი ლიბერთი ბანკი	ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი''
ბანკის კოდი: B/J LBRTGE22	ბანკის კოდი: B/J LBRTGE22
ა/ა GE31LB0121134002649000	ა/ა: GE88LB0113194522[illegible]
ტელ: 237 12 75	ტელ: 2240909 ([illegible])
	გენერალური დირექტორი